



დოკუმენტი დამტკიცებულია  
უნივერსიტეტის რექტორის 2020  
წლის 13 მარტის №62 ბრძანებით;

დოკუმენტში ცვლილებები  
განხორციელდა უნივერსიტეტის  
რექტორის 2020 წლის 11 ივლისის  
№170 ბრძანებით

საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი

2020



დოკუმენტის შინაარსი:

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი .....	2
მუხლი 2. ტერმინთა განმარტება.....	2
მუხლი 3. საგამოცდო ცენტრის ფუნქცია-მოვალეობები .....	3
მუხლი 4. დამკვირვებელი .....	4
მუხლი 5. სტუდენტების უფლებები და ვალდებულებები .....	5
მუხლი 6. გამოცდების ჩატარების პროცედურები.....	6
მუხლი 7. სტუდენტის გამოცდიდან მოხსნისა და ნაშრომის გასწორებაზე უარის თქმის საფუძვლები.....	8
მუხლი 8. საგამოცდო ნაშრომების გასწორება.....	8
მუხლი 9. შედეგების გასაჩივრება.....	9
მუხლი 10. დასკვნითი დებულებები.....	10
დანართი №1 .....	11
ცენტრისაგან საგამოცდო ტესტების მიღება-ჩაბარების აქტი.....	11
დამკვირვებლისაგან საგამოცდო ტესტების მიღება-ჩაბარების აქტი14 .....	11
ლექტორისათვის საგამოცდო ნაშრომების მიღება-ჩაბარების აქტი.....	12
ცენტრისათვის საგამოცდო ნაშრომის მიღება-ჩაბარების აქტი.....	12
დანართი №2 .....	13
დანართი №3 .....	14

## მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი (შემდგომში - „წესი“) ადგენს ევროპის უნივერსიტეტში (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) საგამოცდო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებულ წესსა და პირობებს, ასევე განსაზღვრავს საგამოცდო პროცესში ჩართული პირების უფლება-მოვალეობებს.

2. წესი შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულებისა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

3. წინამდებარე წესი ადგენს, სწავლების ორივე საფეხურზე, ასევე მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, ერთიანი პროცედურის დაცვით, შუალედური, დასკვნითი, დამატებითი გამოცდების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. საგამოცდო ცენტრი არ მონაწილეობს იმ გამოცდის ჩატარებაში, რომელიც ტარდება ზეპირი ფორმით ან საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით მოითხოვს ლექტორის დასწრების აუცილებლობას.

4. ამ წესის მიზნებისთვის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი განიხილება სტუდენტად და მასზე ვრცელდება ამ წესით განსაზღვრული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები.

## მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. დამკვირვებელი - პირი, რომელიც ახორციელებს წინამდებარე წესის შესაბამისად, გამოცდების ჩასატარებლად აუცილებელი ორგანიზაციული ღონისძიებების გატარებასა და გამოცდის მსვლელობისას დისციპლინის უზრუნველყოფას.

2. სტუდენტი - პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს ევროპის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

3. ფაკულტეტის პერსონალი - უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალი.



### მუხლი 3. საგამოცდო ცენტრის ფუნქციები

1. საგამოცდო ცენტრს უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების გარდა დამატებით აქვს შემდეგი ფუნქციები:

ა) საგამოცდო პროცესის მონიტორინგი, შეფასება და გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და ხელმძღვანელობისთვის წარდგენა;

ბ) საგამოცდო პროცესში მონაწილე მხარეებისადმი (ლექტორები, სტუდენტები, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერები, დამკვირვებლები და სხვ.) გამოცდებთან დაკავშირებული ინფორმაციის დროული და სრულყოფილი მიწოდება;

გ) შუალედური, დასკვნითი, დამატებითი გამოცდების მასალების მომზადება გამოცდებამდე 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე მაინც, საგამოცდო მასალების შესაბამისი კურსის სილაბუსებთან (შედარებაში არ იგულისხმება შინაარსობრივი თემატიკის გადამოწმება) შედარების ორგანიზება და დამკვირვებლებისთვის მიწოდება;

დ) საგამოცდო ნაშრომების ლექტორებისთვის გადაცემა;

ე) გამოცდის შედეგების (სტუდენტთა შეფასებების) სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში შეტანა;

ვ) სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ საგამოცდო საკითხების დროული მიწოდების კონტროლი;

ზ) თავისი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, საგამოცდო პროცესის ეფექტიანად განხორციელების მიზნით სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

### მუხლი 4. სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის ვალდებულებები

1. შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია, საგამოცდო საკითხების მიწოდება საგამოცდო ცენტრისთვის უზრუნველყოს გამოცდის დაწყებამდე არაუგვიანეს 2 კვირით ადრე, ხოლო კურაციული ან ინდივიდუალური გრაფიკით/გეგმით სწავლების დროს, საგამოცდო საკითხების მიწოდება უნდა უზრუნველყოს კურაციის, ინდივიდუალური გეგმით/გრაფიკით სწავლების დაწყების დღეს.

2. შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია მისთვის გასასწორებლად გადაცემული დალუქული ნაშრომები საგამოცდო ცენტრს დაუბრუნოს იგივე მდგომარეობაში (არ დაუშვას მათი დაზიანება).



3. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით, ასევე ამ წესის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია პერსონალის მიმართ გამოიყენოს ევროპის უნივერსიტეტის შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინარული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახე.

### **მუხლი 5. დამკვირვებელი**

1. დამკვირვებელი შეიძლება იყოს საგამოცდო ცენტრის, ფაკულტეტის პერსონალი ან/და ხელშეკრულებით დასაქმებული სხვა პირი.

2. დამკვირვებელი, როგორც წესი, ექვემდებარება ცენტრის უფროსს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

3. დამკვირვებელი, რომელიც ფაკულტეტის პერსონალია, გამოცდების მსვლელობისას ანგარიშვალდებულია ცენტრის უფროსის წინაშე ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში.

4. დამკვირვებლის უფლება-მოვალეობები:

დამკვირვებლის უფლება-მოვალეობებია:

ა) გამოცდის ჩატარების ადგილზე გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე 30 წუთით ადრე მაინც;

ბ) გამოცდის დაწყებამდე სტუდენტებს გააცნოს წესები, რომლებიც მათ უნდა დაიცვან გამოცდის მიმდინარეობის პროცესში;

გ) შესაბამის უწყისში, რეგისტრაციაში გაატაროს სტუდენტები და მათი ხელმოწერით დააფიქსიროს გამოცდაზე გამოცხადება;

დ) სტუდენტების მიერ კუთვნილი ადგილების დაკავების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის (იხ. დანართი №1 - ცენტრისაგან საგამოცდო ტესტების მიღება-ჩაბარების აქტი) საფუძველზე, საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელისგან ჩაიბაროს საგამოცდო უწყისი და დალუქულ კონვერტში მოთავსებული საგამოცდო მასალები;

ე) თვალყური ადევნოს გამოცდის მიმდინარეობას და წინამდებარე წესით განსაზღვრული დარღვევის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები;

ვ) გამოცდიდან სტუდენტის მოხსნის ან საგამოცდო ნაშრომის ჩამორთმევის საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, შეადგინოს ოქმი (დანართი N3-ის შესაბამისად) შესაბამისი მიზეზის დაკონკრეტებით;

ზ) უპასუხოს სტუდენტს მხოლოდ პროცედურულ და ტექნიკურ საკითხებზე; საგამოცდო საგანთან დაკავშირებულ ნებისმიერ კითხვაზე პასუხი აკრძალულია;



თ) საგამოცდო დროის ამოწურვამდე 10 (ათი) წუთით ადრე მოახდინოს სტუდენტების ინფორმირება დარჩენილი საგამოცდო დროის შესახებ;

ი) საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე ჩამოართვას სტუდენტებს ნაშრომები, მოათავსოს ისინი კონვერტში და გადასცეს საგამოცდო ცენტრს, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით (იხ. დანართი №1 -დამკვირვებლისაგან საგამოცდო ტესტების მიღება-ჩაბარების აქტი).

5. დამკვირვებელთა რაოდენობასა და მიმაგრების ადგილს განსაზღვრავს საგამოცდო ცენტრი.

## **მუხლი 6. სტუდენტების უფლებები და ვალდებულებები**

1. სტუდენტს აქვს უფლება:

ა) მოითხოვოს გამოცდის შეუფერხებლად და კომფორტულად მიმდინარეობისათვის აუცილებელი პირობები (სამუშაო სივრცე, განათება და ა.შ.);

ბ) გამოცდაზე შეიტანოს მხოლოდ სასმელი წყალი, საწერ-კალამი და ლექტორის მიერ საგამოცდო მასალის თავფურცელზე (იხ. დანართი №2) მითითებული ნებადართული ნივთები;

გ) საჭიროების შემთხვევაში, ხელის აწევით მიმართოს დამკვირვებელს შეკითხვით, ისე რომ ხელი არ შეუშალოს სხვა სტუდენტებს;

დ) გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს მიღებული შეფასება;

ე) გამოცდაზე ვერ/არ გამოცხადების შემთხვევაში, წარმოადგინოს გაცდენის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც განიხილავს საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი და იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის მიერ გამოცდის აღდგენის შესაძლებლობის შესახებ.

2. სტუდენტი ვალდებულია:

ა) გამოცდაზე გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე 15 წუთით ადრე მაინც;

ბ) გაიაროს რეგისტრაცია და შესაბამის უწყისში ხელმოწერით დააფიქსიროს გამოცხადება ან აცნობოს მეთვალყურეს გამოცდაზე გამოცხადების მონიშვნის გაკეთებასთან დაკავშირებით;

გ) გამოცდაზე წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი, ფოტოსურათიანი დოკუმენტი (ID ბარათი, მართვის მოწმობა, სარეგისტრაციო ბარათი, პასპორტი, სხვ.);



დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი გამოცდის მსვლელობისას ედოს საწერ მაგიდაზე (მაგიდის კუთხეში);

ე) გამოცდის მიმდინარეობისას დაიცვას ეთიკისა და ამ წესით გათვალისწინებული ნორმები;

ვ) დაემორჩილოს დამკვირვებლის მითითებებსა და გადაწყვეტილებას, თუნდაც მისი გამოცდიდან მოხსნის შესახებ;

ზ) არ დაიწყოს დროზე ადრე საგამოცდო საკითხზე მუშაობა; წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიღებს გაფრთხილებას; მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან;

თ) საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე, დროულად ჩააბაროს საგამოცდო ნაშრომი;

ი) არ გაიტანოს საგამოცდო ოთახიდან შავი სამუშაო ფურცელი.

3. სტუდენტს ეკრძალება გამოცდიდან გასვლა ნებისმიერი მიზეზით (გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული), მის დასრულებამდე.

4. ჯანმრთელობის გაუარესებით გამოწვეული შედეგის დადგომისას, ყოველი კონკრეტული შემთხვევა განიხილება დეკანთან ერთად და აღდგენით გამოცდაზე სტუდენტის დაშვების საკითხი, თანხმდება საგამოცდო ცენტრთან; ყველა სხვა მიზეზით გამოცდის დატოვების შემთხვევა, არ განიხილება აღდგენით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად.

### **მუხლი 7. გამოცდების ჩატარების პროცედურები**

1. საგამოცდო რეგისტრაცია იწყება გამოცდის დაწყებამდე 15 წუთით ადრე, რეგისტრაციის დრო არ შედის საგამოცდო დროში.

2. რეგისტრაციის გავლის შემდეგ, სტუდენტებს ურიგდებათ საგამოცდო წესები, წერიტი გამოცდის შემთხვევაში - საგამოცდო ტესტები, ხოლო პრაქტიკული გამოცდის შემთხვევაში - საგამოცდო პრაქტიკული ნაწილების შესრულების ინსტრუქცია.

3. დამკვირვებელი, სტუდენტებს აცნობს გამოცდაზე ქცევის წესებს.

4. საგამოცდო დრო განისაზღვრება სასწავლო კურსის სილაბუსის შესაბამისად.

5. დაგვიანებული სტუდენტი გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ საგამოცდო დროის დაწყებიდან 10 წუთის განმავლობაში; ეს დრო არ დაემატება სტუდენტის საგამოცდო დროს.

6. საგამოცდო დრო აითვლება ბოლო საგამოცდო მასალის დარიგების მომენტიდან.



7. საგამოცდო ნაშრომი, წერითი ფორმით შეიძლება შესრულდეს დამკვირვებლის მიერ დარიგებულ საგამოცდო ფურცლებზე ან კომპიუტერული ტექნიკის მეშვეობით; დამკვირვებლის მიერ დარიგებულ საგამოცდო ფურცლებზე ნაშრომის არ შესრულების შემთხვევაში, ის არ გასწორდება.

8. გამოცდაზე დაუშვებელია:

- ა) საუბარი, ხმაური, შესტიკულაციის გამოყენება;
- ბ) სხვა სტუდენტისათვის ხელის შეშლა, ნებისმიერი ფორმით;
- გ) სხვა პირებთან კონსულტირება ან ურთიერთობა, აუდიტორიის გარეთ, გამოცდის პერიოდში;
- დ) სხვა სტუდენტის ტესტში ან ნაშრომში ჩახედვა ან მისი გადაწერა;
- ე) სხვა პირის დახმარება, სხვისაგან დახმარების მიღება ნებისმიერი ფორმით;
- ვ) საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ, საგამოცდო მასალებზე რაიმე ჩანაწერების გაკეთება ან მუშაობის გაგრძელება;
- ზ) საგამოცდო მასალების გადაღება, მისი გარეთ გატანა ან გატანის მცდელობა, ნებისმიერი ფორმით;
- თ) გამოცდაზე კალკულატორის ან ნაბეჭდი მასალის გამოყენება, გარდა საგამოცდო საკითხით გათვალისწინებულისა; აღნიშნული განისაზღვრება მხოლოდ სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირის გადაწყვეტილებით;
- ი) სხვის ნაცვლად საგამოცდო ნაშრომის შესრულება;
- კ) დაუშვებელია მობილური ტელეფონების გამოყენება კალკულატორად;
- ლ) დაუშვებელია საგამოცდო საკითხის შინაარსთან დაკავშირებული კითხვების დასმა;
- მ) საგამოცდო ნაშრომის ჩაბარებამდე საგამოცდო ოთახის დატოვება დაუშვებელია ნებისმიერი მიზეზით, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით განპირობებულისა.

9. გამოცდის მიმდინარეობის დროს ნებისმიერი ელექტრონული საშუალება (მობილური ტელეფონი, ფოტო-ვიდეო კამერები და სხვ.) უნდა გამოირთოს და მოთავსდეს მისთვის გამოყოფილ ადგილას.

10. საგამოცდო პერიოდის განმავლობაში, ამ მუხლით გათვალისწინებული გარემოებებისა და სხვა საგამოცდო პროცესისთვის შეუფერებელი ქცევის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან ან მიეცემა შენიშვნა.

11. შენიშვნის შემთხვევაში, იგივე ან სხვა დარღვევის განმეორებისას, სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან.





**მუხლი 8. სტუდენტის გამოცდიდან მოხსნისა და ნაშრომის გასწორებაზე უარის თქმის საფუძვლები**

1. სტუდენტი გაფრთხილების გარეშე მოიხსნება გამოცდიდან:
  - ა) მისთვის ლექსიკონის, ე.წ. „შპარგალკის“, მობილური ტელეფონის, აიპადის, კალკულატორის, სხვა ელექტრონული ხელსაწყო (თუნდაც გამორთულ მდგომარეობაში) ან დამხმარე მასალის (გარდა ნებადართული შემთხვევისა) აღმოჩენისას;
  - ბ) წესრიგის დარღვევის ან საგამოცდო პროცესში მონაწილე პირის, დამკვირვებლის შეურაცხყოფის შემთხვევაში;
  - გ) ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის შემთხვევაში;
  - დ) სხვა პირის ნაცვლად გამოცდის ჩაბარების მცდელობის შემთხვევაში.
2. ნებისმიერი სხვა წესის დარღვევისას სტუდენტი იღებს გაფრთხილებას. მეორე გაფრთხილების მიღების შემთხვევაში დამკვირვებელი ვალდებულია გამოცდიდან მოხსნას სტუდენტი.
3. ნაშრომი არ გასწორდება თუ:
  - ა) სტუდენტი საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტს მუშაობას და არ ჩააბარებს ნაშრომს;
  - ბ) ნაშრომს დააწერს სახელს, გვარს (გარდა სპეციალურად გამოყოფილი ფურცლისა) ან პიროვნების იდენტიფიცირების შემცველ რაიმე ინფორმაციას, გააკეთებს ისეთ გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალებასთან.
4. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული შედეგის დადგომისას, ასევე შესრულებული ნაშრომი არ შეფასდება და თუ სტუდენტს არ აქვს დაგროვებული მიმდინარე სემესტრში 41-50 ქულა (FX), ის კარგავს იმავე სემესტრში დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას.
5. სტუდენტისათვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების წესი განისაზღვრება „ევროპის უნივერსიტეტის ეთიკისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის კოდექსის“ შესაბამისად.

**მუხლი 9. საგამოცდო ნაშრომების გასწორება**

1. ცენტრი ვალდებულია, დაშიფროს საგამოცდო ნაშრომები, უზრუნველყოს, გასწორების მიზნით, მათი ხელმისაწვდომობა სასწავლო კურსის შესაბამისი აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის, ხოლო გასწორების შემდეგ - ჩაიბაროს უკან;



ბოლო ორ შემთხვევაში, უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი - ნამუშევრების რაოდენობის, თარიღის, სასწავლო კურსის დასახელების მითითებით (იხ. დანართი №1 -ლექტორისათვის საგამოცდო ნაშრომების მიღება-ჩაბარების აქტი და ცენტრისთვის საგამოცდო ნაშრომის მიღება-ჩაბარების აქტი).

2. სასწავლო კურსის შესაბამისი აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია, ცენტრიდან გამოითხოვოს საგამოცდო ნაშრომები, გასწორების მიზნით, გამოცდის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა.

3. სასწავლო კურსის შესაბამისი აკადემიური/მოწვეულ პერსონალს გასასწორებლად არ გადაეცემა იმ სტუდენტის ნაშრომი, რომლის გამოცდიდან მოხსნის საკითხი დამკვირვებლ(ებ)ის მიერ ოქმის სახით შევიდა საგამოცდო ცენტრში განსახილველად.

4. სასწავლო კურსის შესაბამისი აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია, საგამოცდო მასალების გამოთხოვიდან, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, გაასწოროს ნაშრომები და მიაწოდოს ისინი, შესაბამისი შეფასებით, საგამოცდო ცენტრს.

5. ცენტრი ვალდებულია, შესაბამისი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ გასწორებული ნაშრომების მიღებიდან, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, შეფასების შედეგები ასახოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში.

6. სასწავლო კურსის შესაბამისი აკადემიური/მოწვეული პერსონალი უფლებამოსილია არ შეაფასოს საგამოცდო ნაშრომის ის საკითხები, სადაც ვლინდება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპ(ებ)ის დარღვევა; აღნიშნულ დარღვევაზე შესაბამისი სანქციის ამოქმედების მიზანშეწონილობაზე იმსჯელებს შესაბამისი კომისია.

#### **მუხლი 10. შედეგების გასაჩივრება**

1. სტუდენტი უფლებამოსილია, შედეგების გამოქვეყნებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, მიმართოს საგამოცდო ცენტრს თავის მიერ შესრულებული საგამოცდო ნაშრომის გაცნობის მიზნით, ხოლო სასწავლო კურსის განმახორციელებელ ლექტორს საგამოცდო ნაშრომის განხილვის მიზნით. თუ სტუდენტი ნაშრომის გაცნობის (სტუდენტისთვის ნაშრომის გაცნობას უზრუნველყოფს საგამოცდო ცენტრი) და განხილვის შემდეგ ჩათვლის, რომ მის მიერ შესრულებული ნაშრომი შეფასებულია არაობიექტურად, ის უფლებამოსილია იმავე დღეს წერილობითი განცხადების საფუძველზე გაასაჩივროს მიღებული შეფასება.



2. ცენტრი ვალდებულია, განაცხადის/საჩივრის მიღების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს დეკანს სააპელაციო კომისიის შექმნის საჭიროების შესახებ.

3. ცენტრი ვალდებულია, განაცხადის/საჩივრის მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, გააცნოს სტუდენტის ნაშრომი სააპელაციო კომისიას.

4. სააპელაციო კომისია ვალდებულია, 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში განიხილოს სტუდენტის ნაშრომი; მიღებული შედეგის ცვლილების ან იმავე შეფასების დატოვების შემთხვევაში, სააპელაციო კომისია წარუდგენს საგამოცდო ცენტრს დასაბუთებულ დასკვნას.

5. სააპელაციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს:

ა) დარგის სპეციალისტი აკადემიური პერსონალი;

ბ) დარგის სპეციალისტი მოწვეული პერსონალი;

გ) შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი;

დ) შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი;

ე) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი.

6. სააპელაციო კომისიის შემადგენლობას, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი წერილობითი ფორმით წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად.

7. სააპელაციო კომისიის დასკვნა საბოლოოა და აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში, რომელიც, თავის მხრივ, აუქმებს იქამდე არსებულ შეფასებას.

#### **მუხლი 11. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე წესი მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

2. წესში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანებით.

3. წინამდებარე წესი ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.



დანართი №1

საგამოცდო მასალების / ნაშრომების მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი

*ცენტრისაგან საგამოცდო ტესტების მიღება-ჩაბარების აქტი*

აქტი შედგენილია, ერთი მხრივ, \_\_\_\_\_ (საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი), მეორე მხრივ \_\_\_\_\_ (საგამოცდო ცენტრის დამკვირვებელი) შორის, რომელიც ადასტურებს, რომ \_\_\_\_\_/\_\_\_\_\_/20\_\_ დამკვირვებელს საგამოცდო ცენტრისგან გადაეცა \_\_\_\_\_ (საგნის ლექტორის სახელი, გვარი), \_\_\_\_\_ (საგამოცდო საგნის დასახელება) ტესტი, \_\_\_\_ (რაოდენობა).

საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის ხელმოწერა:

დამკვირვებლის ხელმოწერა:

*დამკვირვებლისაგან საგამოცდო ტესტების მიღება-ჩაბარების აქტი*

აქტი შედგენილია, ერთი მხრივ \_\_\_\_\_ (საგამოცდო ცენტრის დამკვირვებელი), მეორე მხრივ \_\_\_\_\_ (საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი) შორის, რომელიც ადასტურებს, რომ \_\_\_\_\_/\_\_\_\_\_/20\_\_ დამკვირვებელმა საგამოცდო ცენტრს დაუბრუნა \_\_\_\_\_ (საგნის ლექტორის სახელი, გვარი) \_\_\_\_\_ (საგამოცდო საგნის დასახელება) ტესტი, \_\_\_\_ (რაოდენობა).

დამკვირვებლის ხელმოწერა:

საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის ხელმოწერა:



*ლექტორისათვის საგამოცდო ნაშრომების მიღება-ჩაბარების აქტი*

აქტი შედგენილია, ერთი მხრივ \_\_\_\_\_ (საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი), მეორე მხრივ \_\_\_\_\_ (საგნის ლექტორის სახელი, გვარი) შორის, რომელიც ადასტურებს, რომ \_\_\_\_/\_\_\_\_\_/20\_\_ ლექტორს საგამოცდო ცენტრისგან გასასწორებლად გადაეცა \_\_\_\_\_ (საგამოცდო საგნის დასახელება) ნაშრომი \_\_\_\_ (რაოდენობა).

საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის ხელმოწერა:

ლექტორის ხელმოწერა:

*ცენტრისათვის საგამოცდო ნაშრომის მიღება-ჩაბარების აქტი*

აქტი შედგენილია, ერთი მხრივ \_\_\_\_\_ (საგამოცდო საგნის ლექტორი), მეორე მხრივ \_\_\_\_\_ (საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი) შორის, რომელიც ადასტურებს, რომ \_\_\_\_/\_\_\_\_\_/20\_\_ ლექტორმა საგამოცდო ცენტრს დაუბრუნა \_\_\_\_\_ (საგამოცდო საგნის დასახელება) \_\_\_\_ (ნაშრომის რაოდენობა).

ლექტორის ხელმოწერა:

საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის ხელმოწერა:



დანართი №2  
საგამოცდო მასალის თავფურცელი



ფაკულტეტი: \_\_\_\_\_

სასწავლო კურსი: \_\_\_\_\_

ლექტორი: \_\_\_\_\_

გამოცდის ხანგრძლივობა: \_\_\_\_\_

გამოცდაზე ნებადართული ნივთები/მასალები: \_\_\_\_\_

შეფასების მეთოდი: \_\_\_\_\_

მთლიანი შეფასება: \_\_\_\_\_

ვარიანტი №



დანართი №3  
ოქმი სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის შესახებ

გამოცდის თარიღი: \_\_\_\_ / \_\_\_\_ / 20\_\_\_\_

ფაკულტეტი: \_\_\_\_\_  
საგანმანათლებლო პროგრამა: \_\_\_\_\_ სასწავლო  
კურსი: \_\_\_\_\_ ლექტორი:  
\_\_\_\_\_

- შუალედური გამოცდა     დასკვნითი გამოცდა     დამატებითი გამოცდა      
 შუალედური გამოცდის აღდგენა     დასკვნითი გამოცდის აღდგენა

აკადემიური წელი: \_\_\_\_\_

- გაზაფხულის სემესტრი     შემოდგომის სემესტრი

სტუდენტის სახელი და გვარი: \_\_\_\_\_

სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის მიზეზი

---

---

---

---

დამკვირვებლ(ებ)ის ხელმოწერა: \_\_\_\_\_